საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალოუბნობა

კალოუბნობა, ქართული ხალხური რელიგიური დღეობა. იმართებოდა კალოუბნად წოდებულ საკულტო ცენტრში აღდგომის მე-5 კვირას. დღესაც იმართება ზემო ხანდაკსა (ქართლი) და კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში (მცხეთის ზემოთ). მლოცველებს მიჰქონდათ შესაწირავი და ასრულებდნენ სათანადო რიტუალს. იმართებოდა პურობა.

ლიტ.: ს ო ხ ა ძ ე ა., ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964.

ა. სოხაძე